გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ელიზა ქრისტესიაშვილი

ძალადობის საკითხების გაშუქება ქართულ ტელემაუწყებლობაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნარგიზა კანკია

გორი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, თუ რა ადგილი უჭირავს და როგორ შუქდება ძალადობის საკითხები საქართველოს ტელევიზიის მთავარ არხებზე. ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა თეორიულ საკითხებს - საქართველოს ტელევიზიის ჩამოყალიბების ისტორიას და მის მთავარ ფუნქციებს.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე ძირითად თავში კი საუბარია ძალადობის სახეებზე (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ...) და კონკრეტული გადაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები. სურათის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, გამოყენებულია ჟურნალისტიკის ექსპერტის, ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებები.

სარჩევი

შესავალი.....5

I თავი

1.1.ტელევიზიის ადგილი და როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.....7

1.2.ქართული ტელემაუწყებლობის ჩამაყალიბება 7

1.3.ტელევიზიის ძირითადი ფუნქციები.....11

II თავი

2.1.ძალადობის ფაქტების გაშუქება ქართულ ტელემაუწყებლობაში.....14

2.2.რა არის ძალადობა.....16

2.3.ძალადობის საკითხები და ქართული ტელევიზია.....23

III თავი

3.1რა სჭირდება აუდიტორიას?.....43

დასკვნა.....54

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....56

შესავალი

ძალადობის საკითხების გაშუქება ქართულ ტელევიზიებში აქტუალური თემაა. იმიტომ, რომ დღეს, ჩვენს მედიასივრცეში ამ პრობლემაზე ბევრს საუბრობენ. ადრე კი - საბჭოთა პერიოდში და შემდეგ წლებშიც- მსგავს საკითხებს დრო თითქმის არ ეთმობოდა.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ შუქდება ესა თუ ის ძალადობის ფაქტი, რამდენად არის ეთიკური ნორმები დაცული. უფრო მეტად რა სახის ძალადობაზე კეთდება აქცენტი ტელევიზიების მხრიდან (მაგ: ფიზიკური, სექსუალური, ცხოველებზე და აშ.) არის თუ არა ორივე მხარე - მოძალადეც და მსხვერპლიც თანაბრად გაშუქებული, რაც მნიშვნელოვანია ობიექტურობისათვის.

ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისათვის მედიასაშულებებმა და სხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა აქტიური როლი უნდა შეასრულონ, რადგანაც ისინი საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ. პრობლემის პრევენციისათვის მედიამ უნდა გამოიყენოს თავისი გავლენა. აღნიშნული შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო ვიდეორგოლებისა თუ სპეციალური გადაცემების, ასევე მათში იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების ჩართულობის მეშვეობით, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევენ. ასევე, მის საპირწონედ, აუცილებელია მედიის მიერ დამოკიდებული პირებისა და შესაბამისი გარემოებების ადეკვატური გაშუქება, რათა ამგვარი ცხორების წესის პოპულარიზება არ მოხდეს. ამ მიმართულების უზრუნველსაყოფად, მედიის თვითრეგულაციისა და თვითკონტროლის არსებული მექანიზმები ქმედითია.

ამ საკითხის დასამუშავებლად, შევისწავლეთ ქართულ ტელესივრცეში არსებული გადაცემები. ვაკვირდებოდით როგორ და რომელ გადაცემებში შუქდება ძალადობის ფაქტები და რამდენად სრულყოფილად ხდებოდა პრობლემის გაშუქება. ასევე, ცხადია, გავეცანით შესაბამის ლიტერატურას,

სურათის ნათლად წარმოსაჩენად და შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად, გავესაუბრეთ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ საკითხებით არიან დაინტერესებული. ვესაუბრეთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელს - ქეთი ბებიაშვილს და მედიაექსპერტ - ზვიად ქორიძეს. თემის მეტად სისრულეში მოსაყვანად, ჩავატარეთ მოკლე სოციოლოგიური გამოკითხვაც.

თავი I

1.1.ტელევიზიის ადგილი და როლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

ტელევიზია (ბერძ. τήλε — შორს და ლათ. video — ვხედავ). კაცობრიობის ისეთმა დიდმა გამოგონებამ, როგორიცაა ტელევიზია არსებობა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო, როდესაც აშშ-ში, იაპონიასა და საბჭოთა კავშირში ელექტრონული სხივების გამოყენებით გარკვეულ მანძილზე გამოსახულების გადაცემისა და მიღებისთვის პირველი ექსპერიმენტები ჩატარდა. კათოდის მილის გამოგონება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ტელევიზორების უმეტესობის მთავარი ნაწილი იყო, 1933 წელს რუსული წარმოშობის ამერიკელმა ინჟინერმა ვლადიმირ ზვორიკინმა შეძლო. ის მთავარი მოწყობილობა, რომელმაც ტელევიზიის შექმნა განაპირობა ვლადიმირ ზვორიკინის მიერ გამოგონებული მექანიკური ხელსაწყო "იკონოსკოპი" იყო. რეგულარული ტელეგადაცემები დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში 1936 წელს დაიწყო, რუსეთში — სამი წლის შემდეგ, ხოლო აშშ-ში — 1941 წელს.

საქართველო კავკასიის ქვეყნებს შორის პირველი იყო, რომელმაც ტელემაუწყებლობა დაიწყო.

1.2.ქართული ტელემაუწყებლობის ჩამოყალიბება

საქართველოს ტელევიზია სათავეს 1953 წლიდან იღებს. ამ წელს დაიწყო პირველი ტელეცენტრის დაპროექტება თბილისში, რომელიც მთაწმინდის ზედა პლატოზე უნდა განთავსებულიყო. 1956 წელს პროექტის შესაბამისად მთაწმინდის ზედა პლატოზე სატელევიზიო ანძის მშენებლობა დასრულდა. ანძის სიმაღლე 185 მეტრი იყო. მაშინ ეს ანძა სსრკ-ში ყველაზე მაღალი იყო და პირველი ტელეგადაცემები სწორედ მთაწმინდის ტელესტუდიიდან ხორციელდებოდა. ამ

ტელესტუდიიდან მაუწყებლობა 11 წელი მიდიოდა.

1956 წლის 30 დეკემბერს ექსპლოატაციაში შევიდა თბილისის ტელეცენტრი და სატელევიზიო პროგრამების რეგულარული გადაცემა დაიწყო. 1957 წელს თბილისის ტელესტუდიამ მოძრავი ტელე-სადგური მიიღო, ამით შესაძლებელი გახდა ფართოდ გაშლილიყო ტელე საქმიანობა. ამ სადგურის წყალობით პირდაპირ ეთერში სპორტული და კულტურული ღონისძიებები გადაიცემოდა. პირველი პირდაპირი გადაცემა ეს იყო ჩართვა „დინამოს„ სტადიონიდან.

ამავე წლის 27 აგვისტოს დაიწყო პოლიტიკური გადაცემების გაკეთება.

უკვე 1958 წელს საინფორმაციო გადაცემების გაკეთება იწყება. დიდი პოპულარობითა და რეიტინგით სარგებლობდა გადაცემა „უკანასკნელი ცნობები“, 1958 წ-ს 16 მარტს პირველად საარჩევნო უბნიდან მოხდა ჩართვა.

ტელეგადაცემები თავდაპირველად კვირაში სამჯერ გადიოდა, ხოლო 1961 წლიდან ყოველდღიური გადაცემები დაიწყო. პირველი ტელეგადაცემები, იმ პერიოდში შესაბამისი ჩამწერი აპარატურის არ არსებობის გამო, ჩაწერის გარეშე მიდიოდა პირდაპირი ეთერით, რაც ძალიან ართულებდა სამუშაოებს. ტელეჟურნალისტიკის მკვლევარი - ნიკო ლეონიძე წერს, რომ პირველი სტუდიის დიზაინი ცნობილ მხატვარ - გრაფიკოს თენგიზ სამსონაძეს ეკუთვნოდა. მანვე შექმნა პირველი სატელევიზიო არხის ემბლემაც.

ქართული ტელევიზიის პირველი ნაბიჯები რთული და ძნელი გადასადგმელი იყო. თავდაპირველად,სტუდიაში ერთი უძრავი კამერა იყო. იმდროინდელი გადაცემები არ იყო მრავალფეროვანი, თუმცა გამორჩეული იყო საბავშვო გადაცემები. მათ მთელი სატელევიზიო ეთერის ნახევარზე მეტი ეთმობოდა. იდგმებოდა სხვადასხვა საბავშვო დადგმები: „ჭრელი გველი“, “სქელი და თხელი“, „კაკო ყაჩაღი“ და სხვ.

გადიოდა მხიარული ვიქტორინები, მუსიკალური სკოლის მოსწავლეების კონცერტები ,მაგალითად: „შეხვედრები პირველკლასელებთან და ა.შ.....ეთერის უთმობდნენ მუსიკასაც. ხშირად გადიოდა კონცერტები, რომელიც მოწონებას ვერ იმსახურებდა. საქმე ის იყო, რომ ამ კონცერტებს ისე აკეთებდნენ, როგორც

,,ცოცხალ'' გადაცემას და ის რაღაც გაურკვეველ შთაბეჭდილებებს ტოვებდა. თუმცა, იყო ისეთი კონცერტებიც, რომლებიც საყოველთაო აღიარებებს იწვევდა. ეს ძირითადად უცხოელი შემსრულებლების ხარჯზე ხდებოდა.

ტელემაუწყებლობა მართლაც დიდი მოვლენა იყო არა მარტო საქართველოს სინამდვილეში, არამედ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ნიკო ლეონიძის თქმით, საქართველოში ტელევიზიის მოღვაწეობას მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. მწვავედ იგრძნობოდა ტელეჟურნალისტების,ტელეოპერატორებისა და საერთოდ იმ ადამიანების სიმცირე,რომლებიც ამ საქმის პროფესიონალნი იქნებოდნენ. მხოლოდ და მხოლოდ 1949 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტთან არსებული ჟურნალისტიკის განყოფილება ჩნდება. 1979 წელს კი ასევე,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტი,რომელსაც საფუძველი პროფესორმა დავით გამეზარდაშვილმა ჩაუყარა.

პირველი დიქტორები იყვნენ: ალექსანდრა მაჭავარიანი და ლია მიქაძე.

1968 წლიდან ტელეფილმების სტუდია ჩამოყალიბდა. ასევე,1968 წლიდან ქართული ტელევიზია ფერადი გახდა. ფერადი გადაცემები 7 ნოემბერს დაიწყო.

1972 წელს ააშენეს, ასევე, დაამონტაჟეს ტელემაუწყებლობის სპეციალური აღჭურვილობა. ამის წყალობით საქართველოში მცხოვრებმა 600 ათასმა ოჯახმა ქართული ტელევიზიის პროგრამების მიღება შეძლო.

1996 წლის მარტში გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 21 ნოემბერი მსოფლიოს ტელევიზიის დღედ გამოაცხადა. ამით გაერომ ხაზი გაუსვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით, ტელევიზიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ტელევიზიამ შეძლო, რომ ადამიანების ცხოვრებაში მთელი სიმძაფრით შემოჭრილიყო და მასზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ბოლო დროს სოციალური მედიის უდიდესი სისწრაფით განვითარებამ ტელევიზიას კონკურენტი გაუჩინა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ტელევიზია ჯერ-ჯერობით ყველაზე გავრცელებული და პოპულარული მედიასაშუალებაა.

ტელევიზიას უნარი შესწევს მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვას,მათ შორის ისინიც, რომლებიც სხვა მასობრივი კომუნიკაციების გავლენის საზღვრებს გარეთ არიან. ტელევიზიის ეს უნარი მისი ფიზიკური ბუნებით აიხსნება. მას ახასითებს:

ეკრანულობა – შეტყობინების გადაცემის უნარი მოძრავი გამოსახულების ფორმით, რომელსაც თან ახლავს მუსიკა. ე.ი. მას გააჩნია ხმაც და გამოსახულებაც, რის გამოც მეტ დამაჯერებლობას იძენს. ამას შეძლება დაერქვას ტელევიზიის ეკრანულობა. ტელევიზიის ეკრანულობის გამო სახეები აღიქვება უშუალო მგრძნობიარობით, რის გამოც ხელმისაწვდომია ყველაზე ფართო აუდიტორიისათვის.

ყველგანშეღწევადობა – ტელევიზორის მიერ მიღებული სატელევიზიო სიგნალის ელექტრომაგნიტური რხევების თვისება შეაღწიოს სამყაროს ნებისმიერ წერტილში (გადამცემის მოქმედების ზონაში). მას შეიძლება ტელევიზიის ყველგანშეღწევადობა ვუწოდოთ. ამის გამო ის მასობრივია. ჰყავს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი აუდიტორია.

უშუალობა - ესაა ქმედების, მოვლენის შეატყობინების უნარი ხმოვან-ხედვითი ფორმით. მოქმედების, მოვლენის ერთდროულობა და მისი ეკრანზე გამოსახვა ტელევიზიის უნიკალური თვისებაა. იგი ცხადდება მხოლოდ პირდაპირი («ცოცხალი») გადაცემის პროცესში, როდესაც გამოსახულება ეთერში მიდის უშუალოდ სატელევიზიო კამერების მეშვეობით, წინასწარი ფიქსაციის გარეშე, ანუ აწმყო დროში. ამ არაფიქსირებული შეტყობინების შექმნისა და გადაცემის უნარს ვუწოდებთ ტელევიზიის უშუალობას.

სიმულტანობა - უშუალობა პირდაპირაა დაკავშირებული ტელეგადაცემის სიმულტანობასთან ანუ ჩვენებისა და ცქერის, ტრანსლიაციის ერთდროულობასთან. ეს სატელევიზიო სანახაობის განსაკუთრებულ უტყუარობას განაპირობებს. მთელი ტელეგადაცემა მიდის ტელემაყურებლის მიმდინარე ცხოვრების პარალელურად.

პერსონიფიცირება - განსაკუთრებით ახასიათებს ტელევიზიას. მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა, როგორც მაუწყებლობის პრინციპი, როგორც

ჟურნალისტიკის სხვა სახეობებისგან არსებითი განსხვავება სატელევიზიო ჟურნალისტიკისა.

თუ რადიოში წამყვანის ხმა მაყურებლისთვის რომელიმე გადაცემასთან ასოცირდება, ტელევიზიაში წამყვანის ხმასთან ერთად სახე,მიმიკები,ჟესტები და მისი გარეგნობა მთლიანად. დღევანდელ რეალობაში ტელევიზია შეიძლება ითქვას მთლიანად პერსონიფიცირებულია. წამყვანი ხშირად მის მიერ წაყვანილ გადაცემაზე პოპულარულია და ის პიროვნება მაყურებლისთვის იმ კონკრეტული გადაცემასთან ასოცირდება. ამიტომაც ტელევიზიების მეპატრონეები ხშირად სწორედ პოპულარულ სახეებს იწვევენ წამყვანად,რადგან ეს გადაცემას დიდ პოპულარობას უქადის. მაგალითად: ჟურნალისტი მაია ასათიანის სახელის ხსენება გონებაში აცოცხლებს გადაცემა ,,პროფილს''. ქართველ მაყურებელს თუ ჰკითხავთ ეს ორი ერთმანეთისთვის განუყრელნი არიან.

ამით აიხსნება დიდი ტელეკომპანიების მისწრაფება, რომ ისეთი წამყვანები და რეპორტიორები ჰყავდეთ, რომელთა პიროვნებაც მაყურებელში სიმპათიას გამოიწვევს.

სწორედ ასეთია ტელევიზიის, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალების თვისებები. მას აქვს მრავალი სტრუქტურული, ფუნქციური, გამოსახვითი და ესთეტიკური თავისებურება და შესაძლებლობა.

1.3.ტელევიზიის ძირითადი ფუნქციები

ინფორმაციული ფუნქცია - ნებისმიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას აქვს ინფორმაციული ფუნქცია. ყოველი მათგანი ხომ სწორედ

ამისთვის შეიქმნა. მათ ინდივიდების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინფორმაციული მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილონ.

მაგალითად, სოციალური ინფორმაციის მიღება თანამედროვე ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის აუცილებელი პირობა გახდა. საინფორმაციო გამოშვებები მაუწყებლობის ყოველდღიური ბადის საყრდენ მომენტებს შეადგენს. ახალი ამბების გამოშვება პროგრამაში თითქმის არასოდეს იცვლება, ყოველთვის ტრადიციული ადგილი აქვს და სხვა გადაცემები მის ირგვლივ არიან განთავსებულნი.

ინტეგრაციული ფუნქცია- მაუწყებლის გამაერთიანებელი ფუნქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ტელევიზიას ძალუძს ხელი შეუწყოს იმ საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას, რომელზეც ვრცელდება მისი გავლენა. ესა თუ ის მაუწყებელი შეგნებულად უნდა მუშაობდეს საზოგადოებაში ერთობის განმტკიცებისათვის. რაც უფრო დიდი და მრავალფეროვანია საზოგადოება , მით მეტი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს ტელეპროგრამები მაუწყებელმა.

აღმზრდელობითი ფუნქცია - ეს ფუნქცია ტელევიზიის პირდაპირ მონაწილეობას გულისხმობს მოსახლეობისთვის ცხოვრების გარკვეული წესების პროპაგანდაში, რაც ასევე, პოლიტიკურ,სულიერ და ზნეობრივ ღირებულებებსაც გულისხმობს.

მაგალითად, თუ მას სურს ახალი ხელსაწყოების პოპულარიზაციას და ათვისებას ხელი შეუწყოს ის დიდ ყურადღებას დაუთმობს ამას. რასაც მალევე ექნება ეფექტი და აი სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ სურთ სახელმწიფოებს, რომ სატელევიზიო პროგრამების არსებითი ნაწილი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ესმსახურებოდეს.

ორგანიზატორული ფუნქცია - აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ტელევიზია თვითონ ხდება ამა თუ იმ საზოგადოებრივი აქციის ინიციატორი. თვითონ უყრის თავს ადამიანთა მასებს და ერთობლივ ღონისძიებას აწყობს. ზოგჯერ ტელევიზია

ორგანიზატორულ ფუნქციას ხელისუფლების მისამართითაც ასრულებს. მაგალითად, გაერთიანებულიჟურნალისტები რაიმე საკითხს წამოჭრიან და შემდგომ ხელისუფლებას უწევს ამ საკითხის გადაჭრა.

საგანმანათლებლო ფუნქცია - ამ ფუნქციას ტელევიზია განათლების მიღების მსურველთა დასახმარებლად ითავსებს, თუმცა კი ეს უშუალოდ ჟურნალისტიკას არ მიეკუთვნება.

არსებობენ სპეციალური საგანმანათლებლო საკაბელო არხები, რომლებიც გათვლილია მოსწავლეთათვის, აბიტურიენტთათვის და ყველა ინტერესის მქონეთათვის. ამგვარ გადაცემებს სისტემურობა და პერიოდულობა ახასიათებთ.

კულტურულ - საგანმანათლებლო ფუნქცია - ასეთი მაუწყებელი ცდილობს აუდიტორია მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს აზიაროს. ანდა თეატრალურ სპექტაკლებს გადმოსცემს, ქმნის მხატვრულ ფილმებს. ხელოვნების ნიმუშებს აჩვენებს, მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეების კომენტარებით.

რეკრეაციული ფუნქცია - გართობისა და დასვენების ფუნქცია. მასში იგულისმება სხვადასხვა გასართობი შოუები, სერიალები.

ასეთ გასართობ პროდუქციას ხშირად სპეციალიზებული ტელეკომპანიები ამზადებენ. ზოგჯერ მასში ჟურნალისტებიც მონაწილეობენ.

თავი II

2.1.ძალადობის ფაქტების გაშუქება ქართულ ტელემაუწყებლობაში

იმისათვის, რომ გამერკვია როგორ უნდა შუქდებოდეს ძალადობის საკითხები ტელევიზიაში ან უნდა შუქდებოდეს თუ არა საერთოდ ვესაუბრეთ მედია-ექსპერტ ზვიად ქორიძეს.

მედია-ექსპერტმა, კითხვას უნდა აშუქებდეს თუ არა მედია ძალადობის ფაქტებს ასე უპასუხა: ,, რა თქმა უნდა მედია უნდა აშუქებდეს იმას, რაც ახალი ამბავია, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. რის მიმართაც ინტერესი მაღალია. მედია ყველაფერს უნდა აშუქებდეს. დათქმა იმისა, რომ ძალადობა არ გავაკაროთ მედიას და თუ ძალადობის ამბები ხდება ქვეყანაში და ეს არ გავაშუქოთ როგორ მოვიქცეთ, როცა ვიგებთ, რომ არის ძალადობა ქალებზე? როცა ვიგებთ, რომ არის ძალადობა სამსახურებში, დასაქმებულებზე დამსაქმებლების მხრიდან? არის ძალადობა სკოლებში ბავშვებს შორის ან მასწავლებლების მხრიდან ძალადობა და აშ. არ გავაშუქოთ რაკი ძალადობაა? მე მგონია, რომ უნდა გავაშუქოთ. იმიტომ, რომ ძალადობა არ უნდა იყოს ნორმა და მედია, როგორც წესი არ აშუქებს იმას, რაც არის ნორმა. გადასასვლელზე რომ გადავდივართ ეს არის ნორმა და თუ არ გადავდივართ გადასასვლელზე მაშინ იქცევს ხომ ეს ჩვენს ყურადღებას? მაგრამ მედიამ ეს ეთიკური ნორმების დაცვით უნდა გააშუქოს'' - გვეუბნება ზვიად ქორიძე. 1

თუმცა მედიასაშუალებების ობიექტურობაში ეჭვი შეაქვს და მაგალითიც მოჰყავს.

,, ერთ-ერთ გადაცემაში იყო სიუჟეტი, სადაც დედა მის ხუთი წლის შვილზე მეზობლის მხრიდან ძალადობის ფაქტს ჰყვება და ჩვენ მხოლოდ დედის მოყოლილი ისტორია გვრჩება. ჟურნალისტს არ უსაუბრია მოძალადესთან, არც მსხვერპლთან - ხუთი წლის ბავშვთან ანუ ჟურნალისტი თვითონ არ დარწმუნებულა რომ ეს უტყუარი ამბავია და ეს მონოლოგი ქალისა ეთერში გაუშვა. ისტორია მოძალადისაც უნდა ვიცოდეთ. ბევრი სხვა რამ უნდა ვაჩვენოთ.

რა მივიღეთ ამით? რატომ არის რომ ადამიანი ინტერესით უყურებს სხვაზე ძალადობის ფაქტს? იმიტომ რომ მასზე არ არის''.

მისი აზრით ფაქტი ისე უნდა იყოს გაშუქებული, რომ არ ,,გავერთოთ'' ამ ფაქტის პიკანტური დეტალებით და კონცენტრირებული ვიყოთ პირველ რიგში იმაზე თუ როგორ მოხდა ფაქტი.

,,მაყურებელს ყველაფერი აინტერესებს, ყველა დეტალი, მაგრამ ეს ყველაფერი არის ბელეტრისტიკის ჟანრი. ჟურნალისტიკა არ არის ბელეტრისტიკა. ბელეტრისტიკაში შეიძლება სუიციდიც კი რომანტიზირებულად აღწერო. ჟურნალისტიკაში კი ეს არ შეიძლება. ეს არ უნდა იყოს ფაქტის დამალვა, მაგრამ არც ნატურალიზებული თხრობა'' - გვეუბნება მედია-ექსპერტი. 2

მსგავსად მედია-ექსპერტისა ადამიანის უფლებათა დამცველი, ქეთი ბებიაშვილიც თვლის, რომ მედია ძლადობის ფაქტებს უნდა აშუქებდეს და კიდეც ენდობა მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაცია.

,,რა თქმა უნდა მედია უნდა აშუქებდეს იმ ყველა ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. მათ შორის ცნობიერების ამაღლების პრაქტიკის დამკვიდრების მიმართულებით. რა თქმა უნდა ეთიკის ნორმების დაცვით. მაგალითად სოფელ აღაიანში მომხდარი ამბავი. ეს არის შემზარავი ფაქტი, მაგრამ რა თქმა უნდა გაშუქებული უნდა ყოფილიყო. ამ გასუქებამ ძალიან ნათლად დაანახა საზოგადოებას რა პრობლემები გვაქვს ჩვენ ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით.

მე ვენდობი იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გადავამოწმოთ ხოლმე წარმოდგენილი ფაქტები და რაც გვაქვს ჩვენ ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ ყოფილა რაიმე დარღვევა'' - ამბობს ქეთი ბებიაშვილი. 3

---

1 იხ.დანართი.გვ.1.ინტერვიუ მედია-ექსპერტ ზვიად ქორიძესთან. 2იხ.დანართი.გვ.2.ინტერვიუ მედია-ექსპერტ ზვიად ქორიძესთან. 3.იხ.დანართი.გვ.5.ინტერვიუ ადამიანის უფლებათა დამცველთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელ - ქეთევან ბებიაშვილთან.

2.2.რა არის ძალადობა

ძალადობა არის ყოველი ის ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს. ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ადამიანის ნება ითრგუნება, მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება შელახულია. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით ყოველგვარი ძალადობა დაუშვებელია და ისჯება კანონით. სწორედ კანონი კრძალავს და სჯის მას. მიუხედავად ამისა, ჩვენს გარშემო მაინც ხშირია ძალადობა. ძლიერი ძალადობს სუსტზე; უფროსი-უმცროსზე; მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე თანამდებობის პირი ან მდიდარი ძალადობს დაუცველზე და ღარიბზე. ძალადობას ასევე სჩადის ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ ის, რასაც ის აკეთებს- ძალადობაა ან არ იცის, რომ ძალადობა ცუდია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვერკვეოდეთ, თუ რა არის ძალადობა.

არსებობს ძალადობის სხვადასხვა სახე, რომელთა შორის უნდა დასახელდეს:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

ქცევები, რომელთა მიზანია აკონტროლოს, მართოს სხვა ადამიანის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე ან შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს;

იძულება: ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ ღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგან თავის შეკავება, მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

უგულებელყოფა: მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზდა სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა მაშინ, როდესაც მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

ეკონომიკური ძალადობა: ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვაპირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას;

სექსუალური ძალადობა: სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

გარდა აღნიშნული სახეებისა, ძალადობის ფაქტები შეიძლება განვიხილოთ ოჯახურ ძალადობად, ცხოველებზე ძალადობად, არასრულწლოვანზე ძალადობად, სექსუალურ უმცირესობებზე ძალადობად, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებულ ძალადობად.

ოჯახში ძალადობა - ძალადობის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. საქართველოში იგი მჭიდრო კავშირშია ქალთა მიმართ ძალადობასთან.

მას არ გააჩნია შემაკავებელი ფაქტორები. ის გვხვდება როგორც დაბალი სოციალური მდგომარეობის, ასევე ეკონომიურად ძლიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში. აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და ფართო საზოგადოების მხრიდან. 9 ოჯახში ძალადობა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. მას აქვს ფარული, განგრძობადი და უმეტეს შემთხვევაში განმეორებითი ხასიათი. იგი თავისი შინაარსით არის სპეციფიკური, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/წევრების მიმართ, ანუ ისეთი ახლო ნათესაური კავშირების მქონე სუბიექტებს შორის, რომელთა ურთიერთობასაც მრავალი საერთო ღირებულება და უხილავი კავშირი ახასიათებს. შესაბამისად, ოჯახში ძალადობა ლატენტური ბუნებისაა და მის შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში დახურულ სივრცეში რჩება, რაც მასთან ბრძოლის სირთულეს განაპირობებს. აღნიშნულს ემატება სოციალური სივრცის კულტურული და ეკონომიკური თავისებურებები, რაც საბოლოოდ გენდერზე დამყარებულ სოციალიზაციაში ვლინდება. ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს და თანმხლებ გარემოებას წარმოადგენს გენდერული უთანასწორობა და სოციალური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ტრადიციული როლების განსამტკიცებლად. აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას, ემსახურება რა მამაკაცის პოზიციის წინა პლანზე წამოწევასა და საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას. შესაბამისად, ყალიბდება არაჯანსაღი ურთიერთობები, რომელსაც ახასიათებს უთანასწორობა და კონფლიქტის პოტენციალი. ოჯახში ძალადობის უპირველეს მსხვერპლად ქალები გვევლინებიან. ამასთანავე, მოწყვლად ჯგუფს ბავშვებიც წარმოადგენენ.

რა თქმა უნდა, ძალადობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო ადამიანის მიმართ. ამ ქმედების მსხვერპლი ხშირად დაუცველი ცხოველიც ხდება. სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით საზარელია მაშინ, როდესაც მას სუსტი და დაუცველი არსებების მიმართ სჩადიან. როგორც წესი, სწორედ ასეც ხდება. ძალადობას შეიძლება ახორციელებდეს ერთი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან მთელი

საზოგადოება. მათი ძალადობრივი ქცევა შეიძლება ეხებოდეს მეორე ადამიანს ან სხვა ჯგუფს.

როგორც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“, ასევე „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში“ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ცალკე მუხლი, რომელიც მაუწყებლებს აცნობს ყველა იმ წესს, რომელთა დარღვევა პროფესიულ და ეთიკურ ნორმებს ეწინააღმდეგება. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობს ყველა ადამიანი განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ორიენტაციისა, რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობისა, სოციალური სტატუსისა და ა.შ. ახალ ამბავზე ან გადაცემაზე მუშაობისას შესაძლებელია ამბის გაშუქების სურვილმა დაჩრდილოს და ხელყოს რესპონდენტის პირადი ცხოვრება. ამიტომ ჟურნალისტები და მაუწყებლები ვალდებულნი არიან დაიცვან არსებული რეგულაციები ნებისმიერ საკითხზე მუშაობისას. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მუხლის“მიხედვით, ძალადობის ფაქტის გაშუქებისას მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს როგორც ძალადობის მსხვერპლის, ასევე მოძალადის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და არ მოახდინოს მათი იდენტიფიცირება. განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს მისი „დასახიჩრებული სხეულის“ და ძალადობის ადგილის ჩვენება.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი-პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მუხლი36.სახელმძღვანელო რეკომენდაციები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის 6. მაუწყებელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. მიზანშეწონილი არ არის დაზარალებულის,გვამისა ან დასახიჩრებული სხეულის, სისხლისა და სხვა მსგავსი სცენების ჩვენება მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთების გარეშე. მათი გადაღება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეული მანძილიდან, რათა შეუძლებელი იყოს დაზარალებულის იდენტიფიცირება.

მუხლი 35. მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის წაყენებული მოთხოვნები (წესები) 22. დაუშვებელია

გარდაცვლილი პირის, უბედურიშემთხვევისას დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება, სანამ ფაქტი ოჯახის წევრებისთვის არ გახდება ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ეჭვმიტანილის/ბრალდებულის ახლობლების ვინაობა ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია.

დანაშაულის მსხვერპლის ვინაობა - ჟურნალისტებმა, როგორც წესი, არ უნდა დაასახელონ დანაშაულის მსხვერპლის განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ვინაობა, რომელიც ცოცხალია.

ზემოთ აღნიშნულზე არანაკლებ მნიშვნელოვანია წესები, რომლებიც მაუწყებელთა მხრიდან არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიზნით არის შემუშავებული. აღნიშნული რეგულაციების საფუძველზე, მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მუხლი, არამედ, სამაუწყებლო ბადე ყველა არსებული პუნქტის გათვალისწინებით ააგოს.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ მოიცავს რეგულაციებს 12 წლამდე, 15 წლამდე და 18 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის არასრულწლოვნების დასაცავად, რადგან მათი ასაკიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ამბავმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტრავმა მიაყენოს არასრულწლოვნის ჯანმრთელობას. ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას მაუწყებელია ვალდებულია დაიცვას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თუ ის არის აღნიშნული ფაქტის მონაწილე.

ამასთანავე, 23 საათიან წყალგამყოფამდე ძალადობის ფაქტის გაშუქებისას, გადმოცემული მასალა არ უნდა შეიცავდეს ადვილად იმიტირებად ქმედებას, ასევე ძალადობის სცენის „არც ვიზუალურ და არც ვერბალურ აღწერას“ არ უნდა

შეიცავდეს. სიუჟეტი მნიშვნელოვნად შემოკლებული უნდა იყოს, ყოველგვარი სისხლიანი კადრებისა და ძალადობის მეთოდების ასახვის გარეშე.

მუხლი 41. ძალადობა და სახიფათო ქმედება

1.ძალადობის ან მისი შედეგების ამსახველი კადრები, აგრეთვე ძალადობის, როგორც ვიზუალური, ისე ვერბალური აღწერის გადაცემა, უნდა იყოს ჯეროვნად რედაქტირებული 23:00 საათამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამართლებულია შესაბამისი კონტექსტით.

2.დაუშვებელია არასრულწლოვნის მიერ იოლად იმიტირებადი ძალადობრივი ან სახიფათო ქმედებისგადაცემა: ა) საბავშვო პროგრამებში; ბ) 23:00 საათიან წყალგამყოფამდე, თუ ამის მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთება არ არსებობს.

არსებობს შემთხვევები, როდესაც მაუწყებლები ძალადობისა თუ სხვა ანტისოციალური ფაქტების შემთხვევებს მაყურებელთა „მისაზიდად“ იყენებს, რასაც ისინი ახერხებენ სიუჟეტში ძალადობის ადგილის, შედეგის, ძალადობის იარაღისა თუ სისხლიანი დეტალების ჩვენებით. ამ ქმედებით მაუწყებელი არღვევს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მუხლს, რომელიც ითვალისწინებს მაყურებელთა დაცვას „პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან.მაყურებელთა ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ტელეკომპანიამ წინასწარ განსაზღვროს კონკრეტული ადამიანების რეაქცია ამა თუ იმ კადრის ხილვისა თუ ამბის გაგების დროს. აქედან გამომდინარე, ა მაუწყებელმა თანაბრად უნდა იზრუნოს მაყურებელთა ყველა კატეგორიაზე და თავად დაიცვას ისინი იმ შესაძლო ტრამვისა თუ ზიანისგან, რაც მათ ახალმა ამბავმა შეიძლება მოუტანოს. კერძოდ, არ ასახოს სიუჟეტში ძალადობის სადისტური მეთოდები და სცენები, დაჭრილთა ტანჯვის ამსახველი სცენები, უსაფრთხოდ მიჩნეულ ადგილებში მომხდარი ძალადობის ფაქტები და ა.შ.

მუხლი 39. სექსუალური, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სცენები

6.დაუშვებელია სექსუალური სცენის, აგრეთვე გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკული გამოსახვა და გადაცემა, 06.00 საათიდან 24:00 საათამდე;

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 6. ადამიანის უფლებების პატივისცემა

6.1ჟურნალისტმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს სამართალდარღვევის, ან უბედურ ფაქტებთან დაკაშირებული მოვლენების აღწერისას. ის უნდა ეცადოს, თავისი საქციელით საფრთხეში არ ჩააგდოს ადამიანთა სიცოცხლე. ასეთი მოვლენების აღწერისას, გაუმართლებელია დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან მათი ნათესავების ვინაობის დასახელება ან ისეთი ინფორმატიული მასალის გამოქვეყნება, რაც აშკარად, ამ პირთა იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. იმისათვის, რომ საზოგადოება გაერკვეს მოვლენაში ვინაობის იდენტიფიცირება არ არის აუცილებელი. ეს წესი შეიძლება დაირღვეს მხოლოდ ისეთი გარემოებებისას, როდესაც დაზარალებული ან ეჭვმიტანილი ცნობილი პიროვნებაა(თანამდებობისპირი, საზოგადომოღვაწედასხვა),

რაც მოვლენას ფართო საზოგადოებრივ ინტერესს უკავშირებს.

2.3.ძალადობის საკითხები და ქართული ტელევიზია

ქვემოთ წარმოდგენილი კვლევისათვის შეირჩა 2018 წლიდან დღემდე მომხდარი ყველაზე გახმაურებული ძალადობის ფაქტები, რომლებიც გაშუქდა საქართველოს ტელევიზიებში. აქცენტი გავაკეთე ორ ქართულ მედიაგიგანტზე, ტელეკომპანია ,,იმედსა'' და ,,რუსთავი2-ზე''.

აღნიშნული ტელე-არხები იმის მიხედვით შეირჩა, თუ როგორია მათი დაფარვის ზონა და მაყურებელთა რიცხვის მაჩვენებლები.

მონიტორინგი არ მოიცავდა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში გასულ რეპორტაჟებს. კვლევის პროცესში არაერთი რეპორტაჟი განვიხილეთ. კვლევისათვის კი 10 ფაქტი შეირჩა.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა განხილული სიუჟეტი შეიცავს კოდექსებით გათვალისწინებული წესების დარღვევას. ამასთანავე ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები. გარკვეულ შემთხვევებში ეს დარღვევა მნიშვნელოვანი ხასითისაა. გამოკვეთილი პრობლემების კლასიფიცირება ასე გამოიყურება:

- რეპორტაჟი შეიცავს ცნობებს საცხოვრებელი ადგილის შესახებ (რაიონის, სოფლის, სახლის ამსახველ კადრებს) რაც ადვილად შესაძლებელს ხდის ძალადობის მსხვერპლისა თუ მოძალადის იდენტიფიცირებას.
- არ არის დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რაც ამ შემთხვევაში რეპორტაჟში მოძალადის, მსხვერპლის თუ მათი არასრულწლოვანი შვილის(ების) იდენტიფიცირებით ირღვევა.
- რეპორტაჟი განთავსებულია წყალგამყოფი ხაზის დარღვევით და არ არის დაცული არასრულწლოვანთა დაცვის წესები დაცული.
- რეპორტაჟები მოიცავს ძალადობის ადგილისა და ძალადობის იარაღის ამსახველ კადრებს (ნაჯახს, დანას, ციცხლის ლაქებს, დამწვარი გვამის ადგილს და სხვ.)
- ძალადობის პროცესი არის დეტალურად აღწერილი, რომლის იმიტირება ადვილად არის შესაძლებელი.

- რამოდენიმე რეპორტაჟში წარმოდგენილია რესპონდენტის ჩანაწერი, რომელიც მოძალადეს ამართლებს და არ ხდება არც ბალანსის დაცვა და არც ფაქტის, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების წარმოჩენა.

კონკრეტული დარღვევის ფაქტები ტელე-არხების რეპორტაჟების მიხედვით

ზემოთ აღნიშნული დარღვევებიდან თითქმის ყველას რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებაში აქვს ადგილი - კურიერში გასულ რეპორტაჟებში. დაკვირვებამ აჩვენა, რომ კურიერის ჟურნალისტებს ახასიათებთ ფაქტის გამწვავების ტერმინოლოგია და ასეთი ფაქტების გაშუქებისას ფაქტის გამწვავების ტერმინოლოგიას და ძალაობის სისასტიკის აღმნიშვნელ ფრაზებს იყენებენ. ისეთს, როგორიცაა: „საზარელი, შემაძწუნებელი,, „თავში ნაჯახი ჩაარტყა“ „ჭრილობა დანით გულმკერდის არეში მიაყენა“ „ორსული ცოლი დალურჯებამდე სცემა“ , „14 წლის გოგონა გააუპატიურა“ და ა.შ. კურიერში გასული ყველა სიუჟეტი, რომელიც ძალადობის ფაქტს ეხება იხსნება ცივი იარაღის ფოტოთი (ნაჯახი, დანა, ცეცხლსასროლი იარაღი) დადანაშაულის აღმნიშვნელი ნიშნებით (ყვითელი ლენტი, ხელბორკილი) რაც თავიდანვე იწვევს მაყურებლისთვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებას. განსაკუთრებით კი დღის მონაკვეთში, როდესაც ტელეეკრანებთან უმეტეს შემთხვევაში ბავშვებიც იმყოფებიან.

დანაშაულებრივი ახალი ამბების გაშუქებას ყოველთვის მოწინავე ადგილი ეკავა ყველა სახის მასმედიის საქმიანობაში. თუმცა იმისათვის, რომ გაირკვეს, რა ითვლება დანაშაულებრივ ახალ ამბად, ამისათვის აუცილებელია, განისაზღვროს, რა არის დანაშაული, ანუ იგულისხმება თუ არა დანაშაულის ის ცნება, რაც გავრცელებულია საქართველოში (სისხლის სამართლის კოდექსით გათვალსიწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება), თუ მას უფრო ფართო გაგება აქვს.

დანაშაულის განმარტება საქართველოს კანონში შემდეგნაირია:

დანაშაულის ცნება განსაზღვრულია საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონი „სისხლის სამართლის კოდექსი“. აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე. ი. „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული მარლთსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქმედება, რომლისთვისაც პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, აუცილებლად სისხლის სამართლის კოდექსში უნდა იყოს ასახული. ამასთანავე, პირის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ, სასამართლოს პრეროგატივაა.

თვით ქმედება მოიცავს, როგორც მოქმედებას (მაგ: მკვლელობა), აგრეთვე უმოქმედობას (მაგ: დაუხმარებლობა, მკვლელობა უმოქმედობით) ქმედება მარლთსაწინააღმდეგოა, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს და აგრეთვე, საზოგადოებაში დამკვიდრებულ კულტურულ ნორმებს. ბრალი მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალური გაკიცხვაა, მის მიერ ჩადენილი მარლთსაწინააღმდეგო ქმედებისთვის. იმისათვის, რათა სახეზე იყოს დანაშაულია, აუცილებელია სამივე პირობის არსებობა.

დანაშაულად კანონმდებელი არ მიიჩნევს ქმედებას, რომელსაც მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დანაშაული შესაძლებელია ჩაიდინილ იქნეს როგორც ფიზიკური პირის, ადამიანის, აგრეთვე იურიდიული პირის მიერ.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (რომელიც მიიღო 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა და ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისს), დანაშაული სამსაფეხურიანი სისტემისაა, რაც ფილოსოფიურ-დოგმატიკურ განვითარებას მოჰყვა შედეგად. დანაშაულის სამსაფეხუროვანი სისტემა ასე გამოიყურება:

- ქმედების შემადგენლობა;
- მართლწინააღმდეგობა;

- ბრალი.

ქმედების შემადგენლობა, ეს არის პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ქმედების შემადგენლობა არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი. მართლწინააღმდეგობა არის პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა კულტურის ნორმების მიმართ და არა მხოლოდ ვიწროდ გაგებული სისხლისსამართლებრივი მართწლსინააღმდეგობა.

ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი.

ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთობლიობა (ანუ დანაშაულის პირველი და მეორე საფეხურის ერთობლიობა) ამ სისტემაში წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, რომელიც ბრალთან (მესამე საფეხური) ერთად ქმნის დანაშაულს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, რომ მედია საშუალებებისთვის დევიაცია და დანაშაული არის ყველაზე გამოყენებადი და ადვილად გასაღებადი „პროდუქტი“. წინა წლებთან შედარებით მედია საშუალებები უფრო ხშირად აშუქებენ დანაშაულებრივ ახალ ამბებს.

სიუჟეტები ბავშვებზე ძალადობის შესახებ

1. ძალადობის ფაქტი - ,,ნაადრევი ქორწინების შედეგი''

შინაარსი - ტრაგედია აღაიანში. 7 თვის ბავშვის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 17 წლის დედა დააკავეს.

ტელეარხი - ტელეკომპანია რუსთავი 2

გადაცემის სახელი - გადაცემა "შაბათის კურიერი" 21:00 საათზე

თარიღი - 25-05-2019 / 22:23

ხანგრძლივობა- 08 :25 წმ

2019 წლის 25 მაისს ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” ეთერში გადაცემა „შაბათის კურიერი“ გავიდა, რომელშიც ერთ-ერთი სიუჟეტი აღაიანში მომხდარ ინციდენტს ეხებოდა . ანონსში არის გარდაცვლილი ბავშვის დედის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია, მათ შორის ინტიმური შინაარსის, რომელიც აქცენტს აკეთებს ბავშვის – როგორც დედის და ცოლის როლზე, მის ცხოვრების წესსა და ქცევაზე და ამით ახდენს სქესის და ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისებას.

ჩანს, რომ მომხდარი ინციდენტი მედია საშუალების მიერ ცალმხრივადაა გაშუქებული, არ შეიცავს მეორე მხარის პოზიციას და იწვევს ბავშვის ღირსებისა და რეპუტაციის შელახვას, რაც ეწინააღმდეგება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობას. მსგავსი შემთხვევების არასრული და არაობიექტური გაშუქება ხელს უწყობს საზოგადოებაში მცდარი აზრის ჩამოყალიბებას.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის მიხედვით ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია, ამასთანავე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა.

დარღვეულია შემდეგი პრინციპები: სიზუსტე, ბავშვის ინტერესი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

ჟურნალუსტური ეთიკის ქარტიის შესაბამისად - ადამიანის უფლებების პატივისცემა - დარღვეულია.

6.1ჟურნალისტმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს სამართალდარღვევის, ან უბედურ ფაქტებთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისას. ის უნდა ეცადოს,

თავისი საქციელით საფრთხეში არ ჩააგდოს ადამიანთა სიცოცხლე. ასეთი მოვლენების აღწერისას, გაუმართლებელია დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან მათი ნათესავების ვინაობის დასახელება ან ისეთი ინფორმატიული მასალის გამოქვეყნება, რაც აშკარად, ამ პირთა იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. იმისათვის, რომ საზოგადოება გაერკვეს მოვლენაში ვინაობის იდენტიფიცირება არ არის აუცილებელი. ეს წესი შეიძლება დაირღვეს მხოლოდ ისეთი გარემოებებისას, როდესაც დაზარალებული ან ეჭვმიტანილი ცნობილი პიროვნებაა(თანამდებობისპირი, საზოგადომოღვაწედასხვა),

რაც მოვლენას ფართო საზოგადოებრივ ინტერესს უკავშირებს.

2.ძალადობის ფაქტი - ,,ოჯახური კონფლიქტი და ორმაგი სარჩელი''

შინაარსი - ცოლზე ძალდობისთვის ქმარი დააკავეს, ქალს კი შემაკავებელი ორდერი გამოუწერეს

ტელეარხი- რუსთავი 2

გადაცემის სახელი - მთავარი საინფორმაციო გამოშვება ,,კურიერი'' 9-ზე

თარიღი - 15-03-2019 /21:46

ხანგრძლივობა - 05:29წთ.

ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" მთავარი საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთი სიუჟეტი ოჯახურ კონფლიქტს ეხებოდა.]

23 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ურთიერთბრალდებებს უყენებს. 5 შვილის დედა ქმარს ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს. ძალადობაში დადანაშაულებული ქმარი კი ბრალდებებს უარყოფს და მის მეუღლეს შვილებზე და დედამთილზე ძალადობაში ადანაშაულებს.

ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ქალი სიუჟეტში დაფარულია ალბათ არასრულწლოვანი შვილების იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად. თუმცა ერთ-ერთი დოკუმენტით მისი პირდაპირი იდენტიფიცირება ხდება. მასში სრულად იკითხება ქალის საახელი და გვარი, ასევე პირადი ნომერი. ეს კი, თავის მხრივ, მისი არასრულწლოვანი შვილების ირიბ იდენტიფიცირებასაც ახდენს.

ასევე, სიუჟეტიდან ირკვევა, რომ 5 შვილიდან 3 არასრულწლოვანია.

ამასთანავე, დედის მხრიდან შვილზე სავარაუდო ძალადობის ნიშნების საჩვენებლად, სიუჟეტში ერთ-ერთი არასრულწლოვნის ფოტოც ჩანს, საიდანაც მიუხედავად იმისა, რომ ის დაფარულია, ახლობლებისთვის მისი ამოცნობა მაინც არის შესაძლებელი. ამასთან, ნაჩვენებია იმ სახლის შიდა კადრებიც, სადაც ამჟამად არასრულწლოვნები ცხოვრობენ. შესაბამისად, ნაცნობები სავარაუდო ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირებას სიუჟეტიდან მარტივად შეძლებენ.

დარღვეულია ქარტიის მე-8 პრინციპი: ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის.

ამასთანავე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის "ბავშვთა საკითხების გაშუქების" სახელმძღვანელო წესებში ვკითხულობთ, რომ ნებისმიერი ფორმის ძალადობის შემთხვევაში, არასრულწლოვნის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირება დაუშვებელია, მიუხედავად იმისა "ბავშვი მოძალადის როლშია, მსხვერპლისა თუ მოწმის".

3. ძალადობის ფაქტი - დაპირისპირება ყოფილ მეუღლეებს შორის

შინაარსი - ყოფილი ცოლი ახალ მეუღლესთან ერთად ყოფილ ქმარს დაუპირისპირდა

ტელეარხი - რუსთავი 2

გადაცემის სახელი - თოქ-შოუ ,,პროფილი''

თარიღი - 11.05.2018. 22:00

ხანგრძლივობა- 49:30 წთ.

თავდაპირველად სტუდიაში ქმარი ზის და მასსა და წამყვანს შორის საუბარი იწყება: "თქვენი ოჯახი ერთმა მესიჯმა დაანგრია. მომიყევით, როგორ ნახეთ ეს გზავნილი?"

მამაკაცი იწყებს მოყოლას, როგორ აღმოაჩინა მეუღლის ტელეფონში მამაკაცისგან გამოგზავნილი შეტყობინება ტექსტით – "სახლში მიხვედი ჩემო საყვარელო?", რომელმაც მეულესთან 11– წლიანი ოჯახური თანაცხოვრების ბედი გადაწყვიტა.

დაწვრილებით ყვება, დარეკა თუ არა უცნობ ნომერზე, როგორ აღელდა, როგორ დაამტვრია ტელეფონი, როგორ დაკარგა თავი და ა.შ. აქ ცოტა იბნევა კიდეც, ჯერ ყვება, უცნობ მამაკაცს მშვიდად როგორ ესაუბრა, მერე წამყვანის გაკვირვებულ კითხვაზე: "როგორ არ აღელდით? არ გადამრიოთ!" - სითამამე ემატება და კიდევ ერთი კითხვის შემდეგ - "ფიზიკურად არ დაარტყით?" აღიარებს, რომ ცოლს ფიზიკურადაც შეეხო და დაარტყა კიდეც, თუმცა, მოინანია. ამხელს იმასაც, რომ მკვლელობაზეც ფიქრობდა, მაგრამ გადაიფიქრა. ბოლოს, არც იმის თქმა ავიწყდება, რომ ძალადობა ცუდია და ყველა მამაკაცს დამრიგებლური ტონით მოუწოდებს "მანდილოსანზე ხელი არ ასწიონ".

შემდეგ ჟურნალისტს სტუდიაში ,,ყოფილი ცოლი'' შემოჰყავს.

წამყვანი მასთან იმის დაზუსტებას იწყებს ძალადობდა თუ არა მისი "ახალი მეუღლე" მის შვილებზე, როგორც ამას ბავშვები სასამართლო ჩვენებაში ამბობენ. უარყოფით პასუხის შემდეგ კითხვა ქმართან ინაცვლებს "რას ამბობენ ბავშვები, რა ფორმით ძალადობდა?"

ვიგებთ, რომ თურმე ქმარს კიდევ ორი ყოფილი მეუღლე ჰყავდა და კითხულობს: "ის ოჯახები რატომ დაინგრა? იმათაც გიღალატეს?" ეს კი იმ ფონზე, როდესაც "ყოფილი ცოლი" არაერთხელ ამბობს, რომ მეუღლისთვის არ

უღალატია, ახალი გრძნობა მხოლოდ მასთან დაშორების შემდეგ გაუჩნდა. წამყვანი ცოლს ტუქსავს, იმის გამო რატომ არ წამოვიდა ქმრისგან ძალადობის პირველივე შემთხვევის შემდეგ და რატომ განაგრძო მასთან თანაცხოვრება.

წამყვანი მშობლებს საყვედურნარევი ტონით მიმართავს: "ახლა თქვენ მთელი საქართველო გიყურებთ, თქვენი შვილებისთვის ეს კარგია?!"

სამწუხაროდ, ბავშვების არსებობა და ნანახით მიყენებული შესაძლო ტრავმა, როგორც ჩანს წამყვანს მხოლოდ საღამოს გაახსენდა. მთელი დღის განმავლობაში, გადაცემის პრომოში, "დრამის" მთავარი გმირები ყოველგვარი დაფარვის გარეშე ჩანდნენ. გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ კი მათ ე.წ. ბლარებით ვხედავთ. სამი ბლარი სტუდიაში მხოლოდ საღამოს გაჩნდა.

გადაცემაში დაძაბულობა მატულობს. წამყვანი "ყოფილ ცოლ-ქმარს სტუდიაში" არაერთხელ მოუწოდებს ურთიერთიპატივისცემისკენ. "მე მეცით პატივი" – თუნდაც ამ მიზეზით. სხვა შეთავაზებებიც აქვს: "კომპრომისზე წასვლა არ შეგიძლიათ, ან ერთ ან მეორე მხარეს? უბრალოდ მიტევება არ შეგიძლიათ?" და ქმრის კითხვას ვის უნდა მიუტევოს, პასუხობს: "მეუღლეს, რომელმაც თქვენი აზრით გიღალატათ". არადა, "ცოლი სტუდიაში" ირწმუნება, რომ მეუღლისთვის არ უღალატია და საპატიებელიც არაფერი აქვს.

წამყვანს ალბათ მეტი დაძაბულობა სურს, ამიტომაც სტუდიაში ყოფილი ცოლის ახალი ქმარი შემოჰყავს. ისმის ერთმანეთის შეურაცხყოფა.

"მთელი საქართველო გიყურებთ! სირცხვილია! ერთი წამით! დაცვას დავუძახებ!" - ისმის მისი უშედეგო მოწოდებები. ბოლოს ორივე მხარეს ადანაშაულებს, მამას მოძალადეს უწოდებს და "5 მილიონი მაყურებლის წინაშე" ოჯახური კონფლიქტის მოწყობისთვის ტუქსავს.

"აქ რამ მოგიყვანათო" გადაცემის მსვლელობისას მანაც რამდენჯერმე იკითხა.

დარღვეულია ჟურნალისტიკის ეთიკის ქარტიის მე-8 პრინციპი:

,,ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ

მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის''.

ძალადობა ქალებზე

1.ძალადობის ფაქტი - აგარაში კაცმა ცოლი ცივი იარაღით დაჭრა

შინაარსი - ადგილზე იყო, იძახდა, რომ ორი კაცი მოვკალიო, წამიყვანეთო - აგარაში სასტიკი მკვლელობის დეტალებს ჰყვებიან

ტელეარხი - რუსთავი 2

გადაცემის სახელი - კურიერი 3 სთ-ზე

თარიღი - 10-06-2019 / 15:05

ხანგრძლივობა- 05:48

„რუსთავი 2-მა“ ამ ამბავს დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 5 წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა.

ამბის გაშუქებისას ფოკუსი არა პრობლემასა და პრევენციაზე მსჯელობა, არამედ ამბის სენსაციურობა და დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივები იყო. სიუჟეტში ბრალდებულიც და მსხვერპლიც იდენტიფიცირებულია. ასევე, აჩვენეს ახლობლები, რომლებიც ცოლ-ქმრის პირადი ცხოვრების დეტალებზე საუბრობენ.

მედიამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას და ხელი არ შეუწყოთ მსხვერპლის ისე წარმოჩენას, თითქოს ის აძლევდა საფუძველს და უბიძგებდა მოძალადეს დანაშაულის ჩადენისკენ.

არასწორია დანაშაულის მიზეზად “ეჭვიანობის ნიადაგის” დასახელება. ამით ურნალისტი უნებურად მიანიშნებთ იმაზე, რომ მსხვერპლი ქალი “არასწორად” იქცეოდა, პროვოცირება გაუკეთა მოძალადეს და მისცა საფუძველი დანაშაულის ჩადენისა. გარდა იმისა, რომ არ არსებობს რაიმე ტიპის ქცევა, რაც გაამართლებს მოძალადის ქმედებას, საკანონდებლო ბაზა დანაშაულის მოტივად არ სცნობს “ეჭვიანობის ნიადაგს”.

არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, დისკრიმინაცია, შურისძიება და აშ, რაც შესაძლებელია დანაშაულის საფუძველი იყოს, მაგრამ არა "ეჭვიანობის ნიადაგი".

მსგავსი ამბების გაშუქებისას განსაკუთრებით დაუშვებელია პირის შესაძლო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ხსენება.

ასეთი ამბების გაშუქებისას ბრალდებულის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ხაზგასმა ხელს უწყობს ზოგადად თემის სტიგმატიზებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების პოტენციურ დამნაშავეებად წარმოჩენას.

ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპი: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

2.ძალადობის ფაქტი- ქალებზე ფიზიკური ძლადობა

შინაარსი - სტუმრები ჰყვებიან მათ მიერ ქალებზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე

ტელეარხი - ,,იმედი''

გადაცემის სახელი - ,,სიცრუის დეტექტორი''

თარიღი - 05.10.2918 /02.11.2018

მსახიობმა გივი სიხარულიძემ და მომღერალმა გია სურამელაშვილმა ტელეკომპანია "იმედის" ეთერით აღიარეს, თუ როგორ იძალადეს ქალებზე.

,,მერე უკვე ძალიან ვარსკვლავური პერიოდი რომ მქონდა, რაღაცები შეეშალა, ისტერიკები ჩამიტარა. ცოტა არ მომეწონა. კონცერტების შემდეგ ქალები რომ მახტებოდნენ, ეჭვიანობის სცენები იყო . როგორ არ მიღალატია?! სულ ვღალატობდი, სულ იცოდა. ფიზიკური შეურაცხყოფა კი მიმიყენებია, მძიმე

დაზიანებები არ მიმიყენებია, მაგრამ კარგად, გემრიელად ვცემე, ხელითაც, ფეხითაც, ბერჯერ მიცემია'' - სიცილით ჰყვება 5 ოქტომბრის გადაცემაში მომღერალი, გია სურამელაშვილი.

ამას მომღერალი ისე ჰყვება, თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა და აუდიტორია უნდა გაერთოს.

გადაცემის წამყვანმა, გიორგი გასვიანმა აღნიშნული ძალადობად შეაფასა, თუმცა მომღერალმა თავისი ქმედება იმით გაამართლა, რომ ყოფილმა ცოლმა "მწყობრიდან გამოიყვანა".

ამ გადაცემის შემდეგ, უკვე 2 ნოემბერს გივი სიხარულიძის შესახებ ვიგებთ, რომ მან წარსულში ქალზე სექსუალურად იძალადა.

,,ერთ ქალბატონს მოსწონდა ძალიან, გივი არ აქცევდა ყურადღებას, მძღოლად იყო დანიშნული. იქიდან მოუარა ამ ქალმა, აქედან მოუარა. და ბოლოს, გივიმ ქალბატონს უთხრა, როდესაც მანქანაში იჯდა საჭესთან, მოდი, ყურში რაღაც გითხრაო. თავი რომ შეყო ქალბატონმა, გივიმ მანქანის ფანჯარას აუწია და გაჭედა მისი თავი, დანარჩენი ნაწილი გარეთ დარჩა. გადმოვიდა პატივცემული და სცა პატივი ქალბატონს'' - გაიხსენა ერთ-ერთმა სტუმარმა, როგორც სასაცილო ისტორია.

გადაცემაში მიწვეული გივი სიხარულიძე საკუთარ სექსუალურ გამოცდილებაზე წამყვანთან საუბრობდა. სწორედ ამას მოაყოლა სიხარულიძის თანხმლებმა პირმა წლების წინ მომხდარი ამბავი. შემდეგ წამყვანმა გიორგი გასვიანმა იკითხა, იყო თუ არა ეს ძალადობრივი აქტი, ამაზე გივი სიხარულიძემ უპასუხა, რომ "ქალს რომ არ სდომებოდა, ეს არ მოხდებოდა".

მუხლი 39. სექსუალური, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სცენები

დაუშვებელია სექსუალური სცენის, აგრეთვე გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკული გამოსახვა და გადაცემა, 06.00 საათიდან 24:00 საათამდე;

მომხდარი ორივე შემთხვევაში ისეა აღწერილი, რომ შესაძლებელია მისი გამეორება. განსაკუთრებით საფრთხეს შეიცავს აღნიშნული გადაცემის არასრულწლოვან მაყურებელში.

მამაკაცზე ძალადობის ფაქტი

ძალადობის ფაქტი - ერთწლიანი სასჯელი მკვლელობისთვის

შინაარსი - ქმრის მკვლელმა ქალმა საპატიმრო ერთ წელიწადში დატოვა

ტელეარხი - რუსთავი 2

გადაცემის სახელი - ,,კურიერი 9-ზე''

თარიღი - 25.06.2018

ხანგრძლივობა- 5 :17წთ.

ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" საინფორმაციო გამოშვება "კურიერმა" 25 ივნისს, ოჯახში მომხდარი მკვლელობის შესახებ გვესაუბრა. სიუჟეტიდან ცნობილი ხდება, რომ ცოლმა ქმარი მოკლა, სასჯელად კი მხოლოდ ერთი წლით პატიმრობა შეეფარდა, მისი ადვოკატების მტკიცებით, დანაშაულის ჩადენის დროს ის აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ვერსიის არ სჯერათ მოკლულის ახლობლებს და ფიქრობენ, რომ ქალს სასჯელი გავლენიანი ნათესავების დახმარებით შეუმსუბუქეს.

მთელი სიუჟეტის განმავლობაში ურთიერთბრალდებები ისმის, როგორც ქმრის, ისე ცოლის მხრიდან. ჟურნალისტის მიერ საქმის დეტალების გამოკვლევის მცდელობას კი ვერ ვხედავთ. შესაბამისად, გაუგებარი რჩება, რატომ არსებობდა ამ კონკრეტული დანაშაულის მიმართ საჯარო ინტერესი. სიუჟეტი ნეკლებ ინფორმაციას აწვდის მაყურებელს და უფრო მეტ კითხვას აჩენს.

ჟურნალისტის გვეუბნება, რომ მსჯავრდებულს სასჯელი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შეუმსუბუქდაა, რადგან გაირკვა, რომ მკვლელობის

მომენტში ქალი აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ფაქტს ეჭვის ქვეშ აყენებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები. ისინი ირწმუნებიან, რომ ქალს ქმრის მოკვლა განზრახული ჰქონდა და საძინებელში ნაჯახი ამიტომაც შეიტანა. ჟურნალისტს არ მოუპოვებია არც სასამართლო გადაწყვეტილება და არც ექსპერტიზის დასკვნა, რასაც დაეყრდნო მოსამართლე. სიუჟეტის ბოლოს გაუგებარი რჩება, თუ როგორ შეუმსუბუქდა სასჯელი, რადგან სიუჟეტიდან ჩანს, რომ სხვა სასჯელი არც მიუსჯიათ მისთვის.

"გოგო ყოველთვის აღიარებდა, რომ მან მოკლა ქმარი. ერთწლიანი სასჯელის შემდეგ მამამისმა ფული გადაიხადა, 170 000 დოლარი და ამის სანაცვლოდ გაათავისუფლა თავისი შვილი", - ამბობს მასალაში მოკლული რუსლან ქერიმოვის დედა.

ამ ნაწილში ისმის მარნეულის საკრებულოს ყოფილი თავმჯომარის ისპან ქერიმოვის სახელი. მიუხედავად ამ მძიმე და მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მქონე ბრალდებისა, სიუჟეტში მთავარი ყურადღება ამ საკითხზე არ გამახვილებულა. მასალაში არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, გადაემოწმებინა, ნამდვილად მოხდა მსგავსი რამ თუ არა. ის მხოლოდ ისპან ქერიმოვისგან კომენტარით შემოიფარგლა, რომელმაც რა თქმა უნდა უარყო რაიმე მონაწილეობა ამ საქმეში. აუდიტორიისთვის გაუგებარი დარჩა ვინ არის მართალი და რეალურად იყო თუ არა სახეზე კორუფციის ფაქტი.

სიუჟეტში შეგვიძლია მოვუსმინოთ მსჯავრდებული ქალის ადვოკატს, რომელიც ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფზე ქმარი სისტემატიურად ძალადობდა და დამუორჩილებლობის შემთხვევაში აპირებდა მის მოკვლას, სწორედ ამ დროს დადგა აფექტის მდგომარეობა და თავად ქალმა გამოიყენა ქმრის მიერ საძინებელში მიტანილი ნაჯახი, თუმცა, ამ ეს ვერსიას არ ავრცობს ჟურნალისტი და მთელი სიუჟეტის განმავლობაში ძირითადად მოკლულის ახლობლები საუბრობენ.

გაუგებარია, თუ მართლა აფექტის მდგომარეობა იყო, მაშინ ერთწლიანი სასჯელი რატომ გახდა სიუჟეტის თემა, რადგან სისხლის სამართლის კოდექსი სულიერი აღელვებისას ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ითვალისწინებს შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

მთავარი თემა ვფიქრობ, აქ ის არის ჰქონდა თუ არა ადგილი კორუფციას. თუკი გამოძიებაზე ან მოსამართლის გადაწყვეტულებაზე გავლენა იქონიესს მსჯავრდებულის ახლობლებმა, თანხის სანაცვლოდ სასჯელი შეაცვლევინეს, მაშინ რატომ არ აკეთებს ჟურნალისტი მთავარ აქცენტს სწორედ ამაზე და არ იკვლევს საქმის ამ დეტალს? - ეს კითხვები უპასუხოდ რჩება.

სიუჟეტიდან ვიგებთ იმას, რომ ციხიდან გამოსული ქალი დედობის უფლების დაბრუნებას აპირებს. კადრში აჩვენებენ ეზოში მოთამაშე ბავშვებსაც. გაუგებარია რატომ იყო აუცილებელი ასეთი მძიმე ფაქტის გაშუქებისას ბავშვების იდენტიფიცირება მაშინ, როდესაც ეთიკური სტანდარტები ჟურნალისტს ბავშვის ინტერესების დაცვას ავალდებულებს.

დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შემდეგი პრინციპები:

პრინციპი 1

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

პრინციპი 8.

ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

3.ძალადობა სექსუალურ უმცირესობებზე

1.ძალადობის ფაქტი - ოთხი ტრანსგენდერი ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობა

შინაარსი - პრობლემის სიმწვავე საქართველოში

ტელეარხი - ,,იმედი''

გადაცემის სახელი - ,,იმედის კვირა''

თარიღი - 12.02.2017/ 22:19

ხანგრძლივობა- 6:52წთ

,,იმედის'' სიუჟეტი მთლიანად პრობლემის სიმწვავეზეა. სექსუალური უმცირესობები დადებით კონტექსტში არიან განხილულნი. ძალადობის მსხვერპლი ტრანსგენდერი ქალები არ არიან იდენტიფირებულნი, როცა ისინი დევნასა და მათზე განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობენ.

ჟურნალისტი სიუჟეტის ბოლოს მოკლულ ტრანსგენდერ ქალთა მსოფლიო სტატისტიკაზე გვიყვება და დასძენს, რომ საქართველოში ამის სტატისტიკა არ გვაქვს.

2.ძალადობის ფაქტი - ტრანსგენდერი ქალი ჯარში გაწვევის უწყებას იღებს

შინაარსი - რა პრობლემებს უქმნის ტრანსგენდერ ადამიანებს სქესის გრაფაში ჩანაწერი

ტელეარხი - ,,იმედი''

გადაცემის სახელი - ,,იმედის დილა''

თარიღი - 15.06.2018 / 09:19

ხანგრძლივობა- 6:71 წთ.

სიუჟეტი დაბალანსებულია. ყველა მხარის ინტერესი გაჟღერებული და დაცულია. გაშუქებულია ყველა მხარე, როგორც თავად ჯარში გაწვეული ტრანსგენდერი, ასევე არასამთავრობო სექტორი, რომელიც მის ინტერესებს იცავს. ასევე, შეგვიძლია მოვისმინოთ იუსტიციის მინისტრის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე, კადრებში ნაჩვენებია სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გამართული აქციაც, სადაც აქციის მონაწილეები ,,ლგბტ'' პროპაგანდის აკრძალვას მოითხოვენ.

სიუჟეტის ბოლოს, ჟურნალისტი ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების პრაქტიკასაც გვიზიარებს და აშშ-ს მაგალითი მოჰყავს, როდესაც მათ ბარაკ ობამამ ჯარში მსახურების უფლება მისცა, დონალდ ტრამპმა კი ჩამოართვა.

3.ძალადობის ფაქტი - #არაფობიას - მრავალფეროვანი საქართველოს ორივე მხარე

შინაარსი -

ტელეარხი - ,,იმედი''

გადაცემის სახელი - ,,იმედის კვირა''

თარიღი - 23.06.2019 / 22:44

ხანგრძლივობა- 11:52წთ.

ამ სიუჟეტში უკვე 2019 წელია. თუმცა ტელეკომპანია ,,იმედი'' ისევ სექსუალური უმცირესობების შესახებ აკეთებს სიუჟეტს, ისევ ებრძვის ფობიას და ისევ ცდილობს, რომ დაგვანახოს მათი ცხოვრების ტრაგიკული შტრიხები, რომელსაც საქართველოში განიცდიან.

ეს ნისნავს, რომ პრობლემა კვლავაც დგას საქართველოში და მედია ცდილობს საზოგადოებას მათ მიმართ დამოკიდებულება შეუცვალოს.

სიუჟეტის გმირია ნიკო შახდინარიანი, რომელიც მისი ორიენტაციის გამო არსებულ დეპრესიაზე საუბრობს, რომელიც იმ საზოგადოების ბრალია, რომელშიც ცხოვრობს. თუმცა იმასაც გვიყვება როგორ ებრძვის ასეთ მდგომარეობას.

შემდეგ შვედეთიდან ასევე, არატრადიციული ორიენტაციის ნათია ერთვება ჟურნალისტს და ამბობს, რომ საქართველოდან არსებულ მდგომარეობას გაექცა და ახლა თავს იქ უკეთ გრძნობს.

ჟურნალისტი გვაჩვენებს 2013 წლის 17 მაისის აქციის კადრებს, როდესაც ლგბტ აქტივისტები და მათი მოწინააღმდეგეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

გვიჩვენებენ არქივს, სადაც სასულიერო პირი დეკანოზი დავით ისაკაძე საუბრობს ჰომოსექსუალების ცოდვაზე ცოდვაზე, ემიჯნება ძალადობას და აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ამ ცოდვის ქადაგება.

სიუჟეტის ბოლოს ავტორი ევროპის მონაცემებსაც გვაცნობს და 2013-დან 2018 წლამდე დანაშაული ერთ სულ მოსახლეზე 144%-ით გაიზარდა.

4.ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობა

1.ძალადობის ფაქტი - „არასრულწლოვანი ეთნიკური ბოშები ტურისტებზე ძალადობენ“

შინაარსი - მასალა ეხება თბილისში ტურისტების გაქურდვის ფაქტებს

ტელეარხი- ,,იმედი''

გადაცემის სახელი - მთავარი საინფორმაციო გამოშვება ,,ქრონიკა''

თარიღი - 27.02.2019 /20:31

ხანგრძლივობა- 3:39წთ.

აღნისნული მასალა თბილისში ტურისტების გაქურდვის ფაქტებს ეხება, რომელსაც ავტორი, ცალსახად, მტკიცებით ფორმაში ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფს

უკავშირებს, ამავე დროს, ხაზს უსვამს, რომ ისინი არასრულწლოვნები არიან და “მთავარი პრობლემა ეს არის”.

„კადრებში ჩანს, როგორ ძალადობენ არასრულწლოვანი ბოშები ტურისტებზე და მათ პირად ნივთებს ძალის გამოყენებით ართმევენ. გიდები ყვებიან, რომ ამ დროს განსაკუთრებით მძიმე ვითარება იქმნება, რადგან ბავშვები ჯგუფურად მოქმედებენ. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მთავარი პრობლემა მოზარდთა ასაკია”, - ამბობს წამყვანი მასალის წარდგენისას.

სიუჟეტში სოციალურ ქსელში მომხმარებლის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეო მასალას ვხედავთ, რომელიც სავარაუდო გაქურდვის ფაქტს ასახავს. კადრების ფონზე ჟურნალისტი არაერთხელ ახსენებს „ბოშებს“ დამამცირებელ კონტექსტში. გარდა წამყვანისა და ჟურნალისტისა, მომხდარში მონაწილეების ეთნიკურ წარმომავლობაზე აქცენტს აკეთებენ რესპონდენტებიც.

ქსენოფობიურ სიუჟეტში დაზარალებული და გიდები დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს იხსენებენ და ეთნიკურად ბოშა არასრულწლოვნებს მოძალადეებად და ქურდებად იხსენიებენ.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“

ამ სიუჟეტში პრობლემურია ქურდობაში მონაწილე პირების ასაკზე ხაზგასმა და იმის მტკიცებაც, რომ მთავარი პრობლემა მათი ასაკია. ამგვარი მესიჯები ტოვებს განცდას, რომ მართლმსაჯულებაში არასრუწლოვნებთან მიმართებით ხარვეზებია და კანონი პრობლემურია.

გარდა ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, ტელევიზიები ხშირად უშვებენ სხვა შეცდომებსაც.

გადაუმოწმებელი მასალის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 2019 წლის 3 მაისის სიუჟეტი რუსთავი 2-ზე, როცა ,,კურიერმა'' ცოცხალი ადამიანის ფოტო გაავრცელა გარდაცვლილის ნაცვლად.

ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ თბილისში, მეტროსადგურ სარაჯიშვილში ახალგაზრდა კაცი მეტროს ლიანდაგებში ჩავარდა, მემანქანემ დამუხრუჭება ვერ მოასწრო და ახალგაზრდა კაცი ადგილზევე გარდაიცვალა. ამბავი ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა. სიუჟეტში შემთხვევის შედეგად გარდაცვლილის ფოტო აჩვენეს, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ფოტოზე იმავე სახელისა და გვარის სრულიად სხვა ადამიანი იყო.

სიუჟეტის გასვლიდან მალევე სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, რომელზეც "რუსთავი 2-ის" მიერ გარდაცვლილად წარმოჩენილი ახალგაზრდა კაცი, ტელევიზორის გვერდით, ზუსტად იმ კადრის ფონზე დგას, სადაც მის გარდაცვალებაზეა საუბარი და ამბავს საილუსტრაციოდ მისივე ფოტო ახლავს.

"როდესაც ტელევიზიით იგებ, რომ მოკვდი" - ფოტო ამ წარწერით გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში თავად შეცდომით გარდაცვლილად გამოცხადებულმა ახალგაზრდამ.

დაირღვა ქარტიის 1 და 3 პრინციპები:

პრინციპი 1.

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

პრინციპი 3.

ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.

თავი III

3.1.რა სჭირდება აუდიტორია?

,,მხოლოდ ხარისხით, რომელმაც თქვენზე მოახდინა შთაბეჭდილება, მხოლოდ მაყურებლის საშუალებით არის შესაძლებელი ამა თუ იმ გადაცემის ღირებულების გათვალისწინება, გაგება'' - წერდა 1960 წელს ტელევიზიის პირველი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ვ.საპაკი.

სწორედ მაყურებლამდე მისასვლელად, განხილული მაგალითებისა და კომპეტენტურ პირებთან ინტერვიუების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩავატარეთ მოკლე სოციოლოგიური გამოკითხვაც, რომლის შედეგებსაც ქვემოთ იხილავთ. გამოკითხვა ჩავატარეთ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გამოკითხულთა უმეტესობა არის შიდა ქართლიდან , თუმცა, კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე სოციალური მედიაც, რამაც ჩემი სოციოლოგიური კვლევის არეალი გააფართოვა.

აღნიშნული სოციოლოგიის მიზანი გახლდათ ძალადობის საკითხების გაშუქების კვლევა ქართულ ტელემაუწყებლობაში.

სოციალურ მედიასთან ერთად მოსახლეობა უშუალოდ ქუჩაში გამოვიკითხე. სულ გამოკთხულთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს შეადგენს.

სოციოლოგიური კვლევის სპეციფიკა იყო ის, რომ მონაწილე არ აფიქსირებდა ვინაობას, რაც ვფიქრობ მეტ თავისუფლებას ანიჭებდათ მათ და სიამოვნებით თანხმდებოდნენ კითხვარის შევსებას.

ის, რაც აუცილებლად უნდა ეთქვათ საკუთარი თავის შესახებ, იყო მხოლოდ ასაკი და სოციალური სტატუსი. ჩემი კვლევის პირველი კითხვაც ასაკს ეხება.

გამოკითხულთა უმრავლესობა 18-დან 30 წლამდეა. მათი უმრავლესობა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტია.

ყველაზე ნაკლებად აღნიშნულ კვლევაში 60 წელს ზემოთ ადამიანები არიან წარმოდგენილნი.

1. თქვენი ასაკი



2. თქვენი სოციალური სტატუსი



კვლევის მონაწილეთა 40% სტუდენტია. მათგან 39% კი დასაქმებულია.

მხოლოდ 1% არის პენსიონერი.

3.უნდა აშუქებდეს თუ არა მედია ძალადობის ფაქტებს?



კითხვას უნდა აშუქებდეს თუ არა მედია ძალადობის ფაქტებს გამოკითხულთა 86%-მა დადებითად უპასუხა.

4. რამდენად ხშირად აშუქებს ტელევიზია ძალადობის ფაქტებს?

გამოკითხულთა 67%-მა ჩათვალა, რომ ტელევიზია ხშირად აშუქებს ძალადობის ფაქტებს და არავინ მიიჩნია, რომ საერთოდ არ აშუქებს.



5.რამდენად ობიექტურად შუქდება ძალადობის ფაქტები ტელევიზიაში?



ტელევიზიების ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს გამოკითხულთა 25%, ასევე, 25 % დარწმუნებულია მათ ობიექტურობაში.

6.ყველაზე ხშირად შუქდება...



გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი დრო ქართულ ტელევიზიებში ქალზე ძალადობის გაშუქებას ეთმობა. შემდეგ სექსუალურ უმცირესობებს 26%, არასრულწლოვნებს 24%, 12% ცხოველებზე ძალადობას, 2% რელიგიურ უმცირესობებს, ეროვნულ უმცირესობებზე ძალადობას კი 1%.

7.ყველაზე ნაკლებად შუქდება და უფრო მეტად უნდა შუქდებოდეს...

ცხოველებზე ძალადობა - 37%

ეთნიკურ უმცირესობებზე - 25%

არასრულწლოვნებზე - 25%

ქალებზე ძალადობა- 7%

რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებზე 3-3 %



8.თქვენი აზრით,როგორ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე მედიაში ძალადობის გაშუქება?

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 37%-ს მიაჩნია, რომ ძალადობის ფაქტების გაშუქება ძალადობის წახალისებას უწყობს ხელს, ასევე, 37% თვლის, რომ ძალადობის შემცირებას უწყობს ხელს.

26%-ს კი მიაჩნია, რომ არავითარი გავლენა არ აქვს.



9.თქვენი აზრით,საჭიროა თუ არა მედიის როლის გაზრდა ან შემცირება ძალადობის ფაქტების გაშუქებისას?რატომ? - ამ კითხვაზე პასუხი თავად უნდა დაეწერათ კვლევაში მონაწილეებს. გავახმოვანწებ რამდენიმე საინტერესო პასუხს.

მაგალითად ერთ-ერთი პასუხი ასეთია:

,,უნდა გაიზარდოს გაშუქება, კონტროლიც უნდა გამკაცრდეს''

,,ჩემი აზრით საჭიროა მედია დაინტერესდეთ არა იმით რამდენი ჭრილობა აქვს მსხვერპლს, არამედ იმით საიდან მოდის ეს ძალადობა''.

და ბოლოს, ვკითხე მათ:

10. თუ თქვენ ან თქვენი ახლობელი გახდებოდით ძალადობის მსხვერპლი მიმართავდით თუ არა ტელევიზიას ძალადობის ფაქტის გაშუქების მიზნით?



დასკვნა:

21-ე საუკუნეში მედია და განსაკუთრებით კი ტელემაუწყებლობა დიდ როლს ასრულებს ადამიანთა ყოველდღიურობაში. მას, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ზემოქმედების უნარი აქვს ინდივიდებზე, საზოგადოებაზე. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზია არ არღვევდეს იმ ნორმებს, რომელიც კანონით დაუწესდა სიტყვის თავისუფლებას და ასევე იმ პრინციპებს, რომელიც თავად ჟურნალისტებმა დაუწესეს ერთმანეთს ანუ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.

ტელემაუწყებელთა შორის ქართულ სივრცეში ყველა დიდი მედიასაშუალება ,,იმედი'' და ,,რუსთავი 2'' გამოვიკვლიე, რომლებიც მეტ-ნაკლებად იაზრებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ,,საშიშნიც'' კი არიან ჩვენი საზოგადოებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი საზოგადოება არც თუ ისე დიდი ხანია, რაც დამოუკიდებელია, საზოგადოება , რომელიც თითქმის ყველა პრობლემას ძალადობით აგვარებდა, საზოგადოება, რომელიც საბჭოური ცენზურის ტყვე იყო, ამდენად, საინტერესო იყო რამდენად ისწავლა მედიამ ამ საზოგადოებასთან მოპყრობა და ასევე, ამ საზოგადოების აღზრდა. რამდენად სწორად იყენებს იგი თავის ინფორმაციულ,საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და ორგანიზების ფუნქციებს.

ძალადობა დესტრუქციულ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზეც. ადამიანის პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ძალადობისგან თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს პიროვნების უნარს, ხელი შეუწყოს საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ წინსვლას.

ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის გაშუქებას მედიაში.

ძალადობა გავრცელებული და კომპლექსური პრობლემაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მასზე ადეკვატური რეაგირება, რაც ხელს შეუწყობს მის შემცირებას ან თავიდან აცილებას, რასაც ჯერ-ჯერობით ქართული ტელევიზიები ვერ უმკლავდებიან.

როგორც მედია-ექსპერტი, ზვიად ქორიძე ამბობს ,, არ იცრუო და არ ავნო. თუ ამას დაიცავ მაშინ არანაირი ძალადობის ფაქტის გაშუქება საზიანო არ იქნება''.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. ვეკუა მარინე, ჟილ რუე - „ჟურნალისტიკა“, მე-2 განახლებული გამოცემა. თბილისი, (თსუ-ს გამ-ბის სტამბა) 2017 წელი.
2. იბერი ელდარ - „საქართველოს ტელევიზიის ისტორია: ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი 2016 წელი.
3. ლეონიძე ნ. ტელეჟურნალისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
4. სატელევიზიო ჟურნალისტიკა, თბილისი, 1998
5. ფრედ შუკუ, ჯონ ლარსონი, ჯონ დეტარსიო, სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა, თბილისი, 2014
6. ჩართოლანი გ. ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, ნაწილიI , თბილისი, 2008
7. ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. ,,მედიასამართალი'' თბილისი, 2014. (ელ. სახელმძღვანელო)

ინტერნეტ მასალა

1. http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq/668-dzaladobis-ra-formebi-arsebobs

2. https://edu.aris.ge/news/ra-aris-fsiqologiuri-Zaladoba-da-rogor-moqmedebs-is-bavSvebze.html

3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-about-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.8&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.13&gt=1

4. https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf

5. https://www.amerikiskhma.com/a/article----------125267824/535750.html